უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი №04

10.04.2018 ქ. თბილისი

სხდომას ესწრებოდნენ:

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

დავით აფრასიძე - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, საბჭოს თავმჯდომარე;
ნუგზარ სხირტლაძე - შპს კავკასიის უნივერსიტეტის ვიცე-პრეზიდენტი სასწავლო დარგში, პროფესორი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
მაკა გველესიანი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი, საბჭოს მდივანი;
თამარ ზარანდია - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი;
ალექსანდრე ცისკარიძე - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე;
ირაკლი ღარიბაშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის დირექტორი;
რიმა ბერიაშვილი - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი, პროფესორი;
ლევან იმნაიშვილი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმატიკისა და მართვის ფაკულტეტის კომპიუტერული ინჟინერიის დეპარტამენტის უფროსი, პროფესორი;
ნანა შარიქაძე - სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსი, ასოცირებული პროფესორი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი;
კონსტანტინე სირბილაძე - სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
გიორგი ისაკაძე - ა(ა)იპ - ბიზნესმედია საქართველოს დამფუძნებელი;
ნოდარ შურღაია - შპს დასაქმების სააგენტო ეიჩარის დირექტორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ლაშა მარგიშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ქეთი ცოტნიაშვილი - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სამმართველოს უფროსი;
თინათინი დვალიშვილი - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სამმართველოს სპეციალისტი;
მარიამ ღამბაშიძე - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სამმართველოს სპეციალისტი;

სოფიო ვასაძე - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სამმართველოს სპეციალისტი;
კახაბერ ერაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ნანი დალაქიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;
ნინო სტეფანიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მონიტორინგის კოორდინატორი.

საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი:
ნინო ენუქიძე - ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანი;
მაია ნონიაშვილი - ასოცირებული პროფესორი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;
მიხეილ ბატიაშვილი - რექტორი.

სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია:
ნინო ღაღანიძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
რუსუდან ერისთავი - მედიახელოვნების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.

ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში - ექსპერტები):
რუსუდან სანაძე;
ეკატერინე აზარაშვილი;
ანა გვრიტიშვილი;
შორენა ხუბუნაია.

სხვა დამსწრე პირები:

მანანა მახარაშვილი - პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წევრი; მოწვეული წევრი, სათათბირო ხმის უფლებით.
ციური დურული - პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტი; მოწვეული წევრი, სათათბირო ხმის უფლებით.

საბჭოს სხდომა დაიწყო 17:14 საათზე.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ, დავით აფრასიძემ.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის

დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 24-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნა, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.
ამასთან, საბჭოს თავმჯდომარემ დამსწრე წევრებს აცნობა, რომ სხდომას ავტორიზაციის დებულების 23-ე მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, სათათბირო ხმის უფლებით სხდომას ესწრებოდნენ მანანა მახარაშვილი და ციური დურული.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტისთვის სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტ - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის მონიტორინგის შედეგების საკითხის განხილვა;
3. „სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტ - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიისათვის სტუდენტთა ადგილების რაოდენობის განსაზღვრის შესახებ" უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2017 წლის 26 დეკემბრის №28 გადაწყვეტილებაში ცვლილებების შეტანის საკითხის განხილვა;
4. „სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტ - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ" უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2015 წლის 18 ნოემბრის №38 და „სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტ - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ" უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2017 წლის 21 სექტემბრის №17 გადაწყვეტილებაში ცვლილებების შეტანის საკითხის განხილვა;
5.სსიპ - სამცხე - ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების საკითხის განხილვა;
6. „სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ" საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2011 წლის 4 აგვისტოს №116 გადაწყვეტილებაში ცვლილებების შეტანის საკითხის განხილვა;
7. „სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ავტორიზაციის შესახებ" საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2011 წლის 28 ივლისის №94 გადაწყვეტილებაში ცვლილებების შეტანის საკითხის განხილვა.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. ცენტრის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ლაშა მარგიშვილმა, საბჭოს წინაშე წარადგინა შუამდგომლობა დღის წესრიგიდან სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტ - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის მონიტორინგის შედეგების საკითხის ამოღების შესახებ. შუამდგომლობის მიზეზი გახლდათ დაწესებულების წერილი (ცენტრში რეგისტრაციის N396530) მათი გამოუცხადებლობის გამო საკითხის გადადების თხოვნის შესახებ. ასევე, ავტორიზაციის დებულებაში შესული ცვლილებების თანახმად, მიზანშეწონილი იყო დღის წესრიგით გათვალისწინებული მე-6 საკითხი ფორმულირებულიყო შემდეგნაირად: სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების ჩამორთმევის შესახებ.

საბჭოს წევრები ერთხმად დაეთანხმნენ წარმოდგენილ შუამდგომლობას. შესაბამისად, საბჭომ ერთხმად დაამტკიცა სხდომის ახალი დღის წესრიგი.

1. შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა;
2. „სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტ - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიისათვის სტუდენტთა ადგილების რაოდენობის განსაზღვრის შესახებ" უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2017 წლის 26 დეკემბრის №28 გადაწყვეტილებაში ცვლილებების შეტანის საკითხის განხილვა;
3. „სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტ - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ" უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2015 წლის 18 ნოემბრის №38 და „სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტ - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ" უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2017 წლის 21 სექტემბრის №17 გადაწყვეტილებაში ცვლილებების შეტანის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - სამცხე - ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების საკითხის განხილვა;
5. სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების ჩამორთმევის საკითხის განხილვა;
6. „სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ავტორიზაციის შესახებ" საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2011 წლის 28 ივლისის №94 გადაწყვეტილებაში ცვლილებების შეტანის საკითხის განხილვა.

1. შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტისთვის სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - განაცხადი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, რუსუდან სანაძემ. ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფი მიღებული ინფორმაციის შეფასების შედეგად შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტს არ უწევდა რეკომენდაციას კონტიგენტის 2000 სტუდენტით გაზრდისთვის. ექსპერტმა დამსწრე საზოგადოებას წარუდგინა ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები.

საბჭოს თავმჯდომარემ საკუთარი აზრის გამოხატვის უფლება მისცა დაწესებულების წარმომადგენლებს.

დაწესებულების რექტორის, მიხეილ ბატიაშვილის, განცხადებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციები გათვალისწინებული იქნებოდა. მისი განმარტებით, აუცილებელია აღინიშნოს უნივერსიტეტის ტექნიკური ბაზა, რომელიც მოიცავს როგორც 250 სტუდენტზე გათვლილ კომპიუტერულ ლაბორატორიას, ასევე საქართველოში არსებულ პირველ, უნიკალურ ლაბორატორიას კიბერუსაფრთხოების მიმართულებით. ასევე, მნიშვნელოვანია აღინიშნოს დაწესებულების მიერ განხორციელებული საერთაშორისო პროექტები - მაგ. სტუდენტებისა და პროფესორების მიერ მომზადებული კვლევითი პროექტი აშშ-ს აერონავტიკისა და კოსმოსური სივრცის კვლევის ეროვნული სამმართველოს (NASA) მიერ გამოცხადებული კონკურსისთვის, ასევე MIT- Massachusette Institute of Technology-სთან გაფორმებული ხელშეკრულება. რომელიც გულისხმობს საერთო კვლევებისა და სტუდენტური პროექტების განხორციელებას. დაწესებულების რექტორის განცხადებით, უსდ-ს შეფასებისას, მნიშვნელოვანია გათვალისწინებულ იქნას, რომ მან პირველი სტუდენტები მიიღო 6 თვის წინ. ამასთანავე, დაწესებულების რექტორმა დაადასტურა მზაობა როგორც ინფრასტრუქტურული, ასევე აკადემიური და კვლევის მუდმივი განვითარების მიმართულებით.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა სახელმწიფოს მიმართ დაწესებულების ვალდებულებებით.

დაწესებულების რექტორის განმარტებით, შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტს სახელმწიფოს მიმართ აქვს ფინანსური ინვესტირების, ასევე 2200 სტუდენტის სწავლებისა და საერთაშორისო პროექტების განხორციელების ვალდებულება. ამასთანავე, დაწესებულება უახლოეს მომავალში გეგმავს საერთო საცხოვრებლის მშენებლობას, რაც საერთაშორისო სტუდენტების მოზიდვას შეუწყობს ხელს.

საბჭოს წევრი, ნუგზარ სხირტლაძე, დაინტერესდა უნივერსიტეტის სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხით.

დაწესებულების რექტორის განმარტებით, ამ დროისთვის უსდ-ში სწავლობს 914 სტუდენტი. პირველი ავტორიზაციის შემდგომ პერიოდში დაწესებულებამ გაზარდა როგორც სასწავლო ფართი

(დამატებით 1400 კვ.მ), ასევე განავითარა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და საბიბლიოთეკო რესურსი. აღნიშნულიდან გამომდინარე, დაწესებულებას სურდა სტუდენტთა რაოდენობის 2000-ით გაზრდა, თუმცა, ექპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციების საფუძველზე მოთხოვნილი რაოდენობა 350-400 სტუდენტამდე შეამცირა. მისი განმარტებით, აღნიშნული რაოდენობა დაწესებულებას მისცემს სახელმწიფოს მიმართ აღებული ვალდებილების შესრულებისა და შემდგომი განვითარების შესაძლებლობას.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესედა სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის შეფარდებით არა მხოლოდ რაოდენობრივად, არამედ ფუნქციურად.

რექტორის განმარტებით, სტუდენტთა კონტიგენტის გაზრდის პარალელურად აუცილებლად გაიზრდება ადმინისტრაციული რესურსი. მისი განცხადებით, დაწესებულებაში მუდმივად ტარდება სტუდენტთა გამოკითხვები, რაც აძლევს მათ პრობლემებისა და გასაუმჯობესებელი ასპექტების იდენტიფიცირების შესაძლებლობას, ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ ექსპერტთა დასკვნის მიღების შემდგომ უკვე გათვალისწინებულ იქნა ექსპერტთა გარკვეული რეკომენდაციები ადამიანური რესურსების მართვის მიმართულებით, კერძოდ ამ ეტაპზე დაემატა რამდენიმე ადმინისტრაციული წარმომადგენელი.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა დაწესებულების საბიბლიოთეკო რესურსით.

დაწესებულების რექტორის განმარტებით, ავტორიზაციის შემდგომ პერიოდში მნიშვნელოვნად გაიზარდა საბიბლიოთეკო რესურსი (დაემატა 724 ერთეული), ამასთანავე 2018 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებულია დაახლოებით 80 000-100 000 ლარის ინვესტიცია ამ მიმართულებით. ასევე, მნიშვნელოვანია აღინიშნოს პარტნიორი ორგანიზაციების ელ.ბაზეზე წვდომის უფლება, რაც სტუდენტებს აძლევს შესაძლებლობას, გაეცნონ პარტნიორი ორგანიზაციების მნიშვნელოვან უახლეს დარგობრივ ელექტრონულ რესურსებს.

საბჭოს წევრი, ირაკლი ღარიბაშვილი, დაინტერესდა წიგნების ელექტრონული ვერსიის გაზიარების საავტორო უფლებების საკითხით.

დაწესებულების წარმომადგენელთა განმარტებით, სტუდენტებისთის სასწავლო მასალის ელექტრონული ვერსიის გაზიარებისას გათვალისწინებულია საავტორო უფლებები, კერძოდ, სტუდენტებს მიეწოდებათ მასალის არა სრული, არამედ მხოლოდ ნაწილი.

საბჭოს წევრი, ირაკლი ღარიბაშვილი, დაინტერესდა, სტუდენტების მიერ მასალის გამოყენების სტატისტიკის აღრიცხვის საკითხით.

დაწესებულების რექტორის განმარტებით, მათი მხრიდან მუდმივად აღირიცხება როგორც უსდ-ს კუთვნილი საბიბლიოთეკო რესურსის, ასევე პარტნიორი ორგანიზაციების ელექტრონული ბაზების გამოყენების სტატისტიკა.

საბჭოს წევრი, ლევან იმნაიშვილი, დაინტერესდა ბიზნესისა და ტექნოლოგიების მიმართულებით სტუდენტთა თანაფარდობით.

დაწესებულების რექტორის განმარტებით, პირველ სასწავლო წელს ბიზნესისა და ტექნოლოგიების მიმართულებით სტუდენტთა თანაფარდობა შეადგენდა 2/1-ს, თუმცა, მათი მოლოდინით, მომავალი წლიდან გაიზრდება ტექნოლოგიების მიმართულების სტუდენტთა რაოდენობა და ბიზნესთან მიმართებით მეტ-ნაკლებად დაბალანსდება.

საბჭოს წევრი, თამარ ზარანდია, დაინტერესდა მხოლოდ ასოცირებული პროფესორის არსებობის საკითხით.

დაწესებულების რექტორის განცხადებით, გამომდინარე იქიდან, რომ უსდ იყო ახალდაარსებული, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ საწყის ეტაპზე თანამშრომლობის შეფასების მიზნით მხოლოდ ასოცირებული პროფესორი ჰყოლოდათ, თუმცა, უნდა აღნიშნოს, რომ მომავალი სასწავლო წლიდან დაწესებულება გამოაცხადებს კონკურსს როგორც პროფესორის, ასევე ასისტენტ პროფესორის შესარჩევად.

საბჭოს წევრი, თამარ ზარანდია, დაინტერესდა ერთი კოდის ქვეშ არსებული ორი პროგრამის საკითხით.

დაწესებულების რექტორის განცხადებით, შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი ახორციელებს 2 ქართულენოვან საბაკალავრო პროგრამას - ბიზნესის ადმინისტრირება - მენეჯმენტსა და ბიზნესის ადმინისტრირება - ფინანსებს. ამასთანავე, უსდ სთავაზობს სტუდენტებს ქართული პროგრამის პარალელურად აიღონ ბიზნესის ადმინისტრირება-ფინანსების განხრით Oxford Brooks-ის უნივერსიტეტის (დიდი ბრიტანეთი) და ბიზნესის ადმინისტრირება - მენეჯმენტის შემთხვევაში, Staffordshire-ის უნივერსიტეტის (დიდი ბრიტანეთი) დიპლომები. სტუდენტები 60 თავისუფალი კრედიტის ფარგლებში გაივლიან აღნიშნული პროგრამების მოდულს და შესაბამისად მიიღებენ, როგორც ქართულ, ასევე ბრიტანულ დიპლომს. ამჟამად სტუდენტები გადიან საერთო 180 კრედიტით გათვალისწინებულ საგნებს.

ცენტრის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის, ლაშა მარგიშვილის, განმარტებით, განათლების ხარისხის განვითარების შესახებ კანონის თანახმად, მსგავს შემთხვევაში, სავალდებულოა, აღნიშული საბაკალავრო პროგრამები იყოს აკრედიტირებული ან ავტორიზებულ რეჟიმში დამატებული, ვინაიდან ავტორიზაციას ექვემდებარება ისეთი საქმიანობა, რომელსაც თან სდევს კვალიფიკაციის მინიჭება ან არის კვალიფიკაციის მიმნიჭებელი პროგრამის ნაწილი.

დაწესებულების რექტორის განმარტებით, დაწესებულება გეგმავს აღნიშნულ პროგრამების აკრედიტაციას და ამჟამად მიმდინარეობს კონსულტაცია ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრსა და დაწესებულებას შორის.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა აღნიშნულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის საფასურით.

დაწესებულების რექტორის განცხადებით, სწავლის საფასური ქართულ და ბრიტანულ პროგრამებზე განსხვავდებოდა, რაც გამოწვეული იყო ბრიტანული პროგრამის სტუდენტებისთვის დამატებითი მოდულების შეთავაზებით.

ექსპერტთა განმარტებით, ვიზიტის მიზნიდან გამომდინარე, მათ არ ჰქონდათ შესაძლებლობა, დეტალურად გაცნობოდნენ სასწავლო პროგრამებს. აქედან გამომდინარე, დააყენეს შუამდგომლობა საბჭოსთან, რომ აღნიშნული ფაქტი დეტალურად იყოს შესწავლილი.

საბჭოს თავმჯდომარის განცხადებით, დაწესებულება ორიენტირებულია პრაქტიკულ აქტივობებზე და არ ჩანს აკადემიური / კვლევითი კომპონენტი.

დაწესებულების რექტორის განმარტებით, სფეროდან გამომდინარე, საწყის ეტაპზე დაწესებულება ორიენტირებული იყო ტექნიკური ბაზების მოწყობაზე, რაც, აუცილებელი პირობაა კვლევითი საქმიანობის უზრუნველსაყოფად.

საბჭოს წევრი ნანა შარიქაძე დაინტერესდა, სტუდენტთა კონტიგენტის გაზრდის შემთხვევაში, რამდენად მზად იყო დაწესებულება სტუდენტთათვის საჭიროების შემთხვევაში დამატებითი საათების ჩასატარებლად.

დაწესებულების რექტორის განმარტებით, დაწესებულება სტუდენტთა კონტიგენტის გაზრდის შემთხვევაშიც საჭიროებიდან გამომდინარე უზრუნველყობს დამატებით საათებს სტუდენტებისთვის. ამასთანავე, დაწესებულებაში ამ მიზნით გამოყოფილია დამატებითი სივრცე.

საბჭოს სხდომზე შესვენება გამოცხადდა 18:30 საათზე.

საბჭოს სხდომა განახლდა 18:46 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტისთვის სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 2 250-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 33-ე მუხლის პირველი პუნქტის, ამავე მუხლის მეორე პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის, 33[1] მუხლის მე-3 პუნქტისა და 34-ე მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად, შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტს (საიდენტიფიკაციო კოდი: 405155638) სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 2 250-ით.

საბჭომ ცენტრს მიმართა შუამდგომლობით, ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტში 1 წლის განმავლობაში განახორციელოს მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტი.

2. „სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტ - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიისათვის სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის შესახებ" უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2017 წლის 26 დეკემბრის №28 გადაწყვეტილებაში ცვლილებების შეტანის საკითხის განხილვა

პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, კახაბერ ერაძემ საბჭოს სხდომაზე განაცხადა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებაში" 2018 წლის 31 იანვრის №07/ნ ბრძანებით შევიდა ცვლილება, რომლის თანახმად, დებულების მე-40 მუხლის მე-11 პუნქტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ საგანმანათლებლო დაწესებულებებს დაევალათ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის ფარგლებში გადაენაწილებინათ ადგილები ყველა, მათ შორის ე.წ. საგნობრივ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამეზეც და 2018 წლის 1 მარტამდე შუამდგომლობით მიემართათ შესაბამისი საბჭოსათვის პროფესიულ სტუდენტთა ადგილების განსაზღვრასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებში ცვლილებების შეტანის თაობაზე. ამასთან, დებულების 25-ე მუხლის მე-5 პუნქტის მიხედვით, დაწესებულების პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა წარმოადგენს თითოეული პროგრამის მიხედვით განსაზღვრული პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობების ჯამს, რაც იწვევს დაწესებულებისათვის განსაზღვრული პროფესიულ სტუდენტთა საერთო ზღვრული რაოდენობის კორექტირებას.

ასევე, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2017 წლის 13 ოქტომბრის №656 ბრძანებით შეიცვალა ზოგადი სავალდებულო მოდულები, რის საფუძველზეც, ავტორიზაციის დებულების მე-6 მუხლის ,,გ" პუნქტის მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით (პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩოდოკუმენტს), დაწესებულებებმა ავტორიზაციის დებულების 30^2-ე მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე წარმოადგინეს ინფორმაცია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილებების თაობაზე. ასევე კორექტირდება მისანიჭებელი კვალიფიკაციების ფორმულირება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №120/ნ ბრძანებით დამტკიცებულ ,,ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს" მე-4 დანართის შესაბამისად და მიეთითება პროფესიული სპეციალიზაციის კოდი.

კახაბერ ერაძემ განმარტა, რომ სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტ-ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის მიერ წარმოდგენილ იქნა ზემოთ აღნიშნული შუამდგომლობა, ავტორიზაციის საბჭოს 2017 წლის 26 დეკემბრის N 28 გადაწყვეტილების კორექტირების საჭიროების შესახებ.

შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა „სსიპ-სასწავლო უნივერსიტეტ-ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიისათვის სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის შესახებ" უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2017 წლის 26 დეკემბრის N 28 გადაწყვეტილებაში ცვლილებების შეტანის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 25-ე მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე, განხორციელდეს ცვლილება ,,სსიპ -სასწავლო უნივერსიტეტ - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიისათვის სტუდენტთა ადგილების რაოდენობის განსაზღვრის შესახებ“ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2017 წლის 26 დეკემბრის N28 გადაწყვეტილებაში და პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

,,1.სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტ - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიას (ს/კ: 245427337) სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 3 000-ით, მათ შორის პროფესიუილ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 215-ით“. პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე შექმნილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობები გადანაწილდეს შემდეგნაირად:

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა	სწავლების ენა	ადგილების ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები
1	გემბანის რიგითი მეზღვაური	მესამე	გემბანის რიგითი მეზღვაურის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 111051	60	ქართული	30	ბათუმი, რუსთაველის 53
2	სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაური	მესამე	სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაურის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 111052	60	ქართული	30	ბათუმი, რუსთაველის 53

3. „სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტ - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ“ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2015 წლის 18 ნოემბრის №38 და „სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტ - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ“ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2017 წლის 21 სექტემბრის №17 გადაწყვეტილებაში ცვლილებების შეტანის საკითხის განხილვა

პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, კახაბერ ერაძემ განაცხადა, რომ სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტ - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის მიერ წარმოდგენილ იქნა შუამდგომლობა, ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებების კორექტირების საჭიროების შესახებ. მან საბჭოს წევრებს განუმარტა, რომ საბჭოს წინაშე წარმოდგენილი შუამდგომლობა, პროგრამების ჩამონათვალი, სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გადანაწილება კიდევ ერთხელ იქნა გადამოწმებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან.

სხდომის თავმჯდომარე დაინტრესდა, ჰქონდა თუ არა დაწესებულებას საკმარისი რესურსები, რათა შესაბამისი საგანმანათლებლო გარემო შეექმნა თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე განსაზღვრულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობისთვის. აღნიშნულ კითხვაზე, კახაბერ ერაძემ განაცხადა, რომ დაწესებულებას გააჩნდა შესაბამისი რესურსები.

შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა „სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტ - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ“ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2015 წლის 18 ნოემბრის №38 და „სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტ - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ“ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2017 წლის 21 სექტემბრის №17 გადაწყვეტილებაში ცვლილებების შეტანის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე, ცვლილება განხორციელდეს „სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტ - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ“ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2015 წლის 18 ნოემბრის №38-ე გადაწყვეტილებაში და პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:
1. სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტ - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიას (საიდენტიფიკაციო კოდი: 245427337) მიენიჭოს უფლებამოსილება დამატებით განახორციელოს შემდეგი პორფესიული საგანმანათლებლო პროგრამა:

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის	კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის	სწავლების ენა	ადგილების ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები
	კომპიუტერული საინჟინრო გრაფიკის ოპერატორი (1)	მესამე	კომპიუტერული საინჟინრო გრაფიკის ოპერატორის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 040679	79	94	ქართული	15	ბათუმი, რუსთაველის ქ. № 53

2. ცვლილება განხორციელდეს „სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტ - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ“ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2017 წლის 21 სექტემბრის №17 გადაწყვეტილებაში და პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

1. სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტ - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიას (საიდენტიფიკაციო კოდი: 245427337) მიენიჭოს უფლებამოსილება დამატებით განახორციელოს შემდეგი პორფესიული საგანმანათლებლო პროგრამები:

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის	კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის	სწავლების ენა	ადგილების ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები
1	ამწის ოპერირება (1)	მესამე	მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია ამწის ოპერირებაში 040779	46	61	ქართული	20	ბათუმი, რუსთაველის ქ. № 53
2	ამწის ოპერირება (1)	მეოთხე	მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია ამწის ოპერირებაში 040779	76	106	ქართული	10	ბათუმი, რუსთაველის ქ. № 53
3	შედუღება (1)	მესამე	მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია შედუღებაში 041274	38	53	ქართული	27	ბათუმი, რუსთაველის ქ. № 53

4	შედუღება (1)	მეოთხე	მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია შედუღებაში 041274	79	109	ქართული	27	ბათუმი, რუსთაველის ქ. № 53
5	სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკის ოპერირება (1)	მეოთხე	მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია ლოგისტიკაში 020371	69	99	ქართული	10	ბათუმი, რუსთაველის ქ. № 53
6	თევზსაჭერი გემის ნავიგატორი (1)	მეხუთე	მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია თევზსაჭერი გემის ნავიგაციაში 040780	88	118	ქართული	36	ბათუმი, რუსთაველის ქ. № 53
7	პორტების ლოგისტიკის მენეჯმენტი (1)	მეხუთე	მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია ლოგისტიკაში 020371	51	81	ქართული	10	ბათუმი, რუსთაველის ქ. № 53

(1) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას;

(2) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისათვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 50%-ზე მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში.

4. სსიპ - სამცხე - ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების საკითხის განხილვა

საბჭოს სხდომას არ ესწრებოდნენ დაწესებულების წარმომადგენლები. ცენტრის წარმომადგენელმა ლაშა მარგიშვილმა საბჭოს წევრებს აცნობა, რომ სხდომის დღის წესრიგი ცენტრის ვებგვერდზე კანონმდებლობით დადგენილი წესით იყო გამოქვეყნებული. ამასთან, დაწესებულებას დადგენილ ვადებში გაეგზავნა საბჭოს სხდომაზე მოსაწვევი წერილი. თუმცა, მიზეზი, თუ რატომ არ ესწრებოდნენ დაწესებულების წარმომადგენლები, ცენტრისთვის უცნობი იყო.

საბჭოს თავმჯდომარის განმარტებით, საბჭო უფლებამოსილი იყო საკითხი განეხილა დაწესებულების წარმომადგენლის დაუსწრებლად. აღნიშნული მოსაზრება გაიზიარეს საბჭოს სხვა წევრებმაც. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ - დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, შორენა ხუბუნაიამ. მან აღნიშნა, რომ მონიტორინგის მიზანი იყო დადგენილიყო დაწესებულების მიერ ავტორიზაციის დებულების 30[2] მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით წარმოდგენილი მოდიფიცირებული ბუღალტრული აღრიცხვის პროგრამის შესაბამისობა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულ ბუღალტრული აღრიცხვის ჩარჩო დოკუმენტთან. დოკუმენტაციის შესწავლა ექსპერტების მიერ მოხდა ადგილზე, დასკვნაში არსებითი ხასიათის შენიშვნები არ არის გამოკვეთილი, თუმცა დაწესებულებას მიეცა რიგი რეკომენდაციები პროგრამის გაუმჯობესების მიზნით.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, თუ რა პერიოდი დასჭირდება დაწესებულებას დაფიქსირებული რეკომენდაციების მიხედვით პროგრამის გადასამუშავებლად. ექსპერტის განმარტებით, დაწესებულებამ დასკვნის პროექტის საპასუხოდ განაცხადა, რომ ექსპერტთა რეკომენდაციები იყო გათვალისწინებული და შემუშავებულია განახლებული დოკუმენტი.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - სამცხე - ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის, ხარვეზების გამოსასწორებლად, 30 დღიანი ვადის მიცემის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-10 პუნქტის თანახმად, სსიპ - სამცხე - ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს ხარვეზების გამოსასწორებლად მიეცეს არაუმეტეს 30 კალენდარული დღე.

5. სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების ჩამორთმევის საკითხის განხილვა

განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება განაცხადა ნანა შარიქაძემ.

პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, კახაბერ ერაძემ განაცხადა, რომ სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის მიერ წარმოდგენილ იქნა შუამდგომლობა, ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების კორექტირების საჭიროების შესახებ. კერძოდ, დაწესებულებას აღარ სურდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება.

ცენტრის წარმომადგენელმა ლაშა მარგიშვილმა განაცხადა, რომ ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლში განხორციელებული ცვლილებების თანახმად, საბჭო უფლებამოსილია, მიიღოს გადაწყვეტილება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების ჩამორთმევის შესახებ, თუ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება არღვევს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებს. მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან თავად დაწესებულება შუამდგომლობდა, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების ჩამორთმევაზე, საბჭო უფლებამოსილი იყო ემსჯელა აღნიშნულ საკითხზე და მიეღო შესაბამისი გადაწყვეტილება. აღნიშნული პოზიცია გაიზიარეს საბჭოს წევრებმაც.
შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების ჩამორთმევის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 31-ე მუხლის 9^1 პუნქტის თანახმად, სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიას ჩამოერთვას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილება.

6. „სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ავტორიზაციის შესახებ" საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2011 წლის 28 ივლისის №94 გადაწყვეტილებაში ცვლილებების შეტანის საკითხის განხილვა

პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, კახაბერ ერაძემ განაცხადა, რომ „სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის მიერ წარმოდგენილ იქნა შუამდგომლობა, ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების კორექტირების საჭიროების შესახებ. ცვლილების საჭიროება გამომდინარეობდა ავტორიზაციის დებულების მე-40 მუხლის მე-11 პუნქტის საფუძველზე, კერძოდ აღნიშნული ნორმის მიხედვით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ საგანმანათლებლო დაწესებულებებს დაევალათ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის ფარგლებში გადაენაწილებინათ ადგილები ყველა, მათ შორის ე.წ. საგნობრივ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამეზეც და 2018 წლის 1 მარტამდე შუამდგომლობით მიემართათ შესაბამისი საბჭოსათვის პროფესიულ სტუდენტთა ადგილების განსაზღვრასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა „სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ავტორიზაციის შესახებ" საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2011 წლის 28 ივლისის №94 გადაწყვეტილებაში ცვლილებების შეტანის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 25-ე მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე, ცვლილება განხორციელდეს „სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ავტორიზაციის შესახებ" საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2011 წლის 28 ივლისის №94 გადაწყვეტილების მეორე პუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

2.სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიას სტუდენტთა ადილების რაოდენობა განესაზღვროს 3256-ით. პროფესიული სტუდენტების რაოდენობა განესაზღვროს 40 - ით. პროფესიული სტანდარტის საფუძველზე შექმნილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობები გადანაწილდეს შემდეგნაირად:

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა	სწავლების ენა	ადგილების ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები
1	მხატვარ ანიმატორი	მეხუთე	მხატვარ ანიმატორის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 080252	120	ქართული	20	თბილისი, ყიფშიძის ქ. №34 თბილისი, გრიბოედოვის ქ.№22
2	ვიზუალური გამოსახულების დიზაინერი	მეხუთე	ვიზუალური გამოსახულების დიზაინერის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 080251	120	ქართული	20	თბილისი, ყიფშიძის ქ. №34 თბილისი, გრიბოედოვის ქ.№22

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდგომ, 19:15 საათზე საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

თავმჯდომარე
დავით აფრასიძე

მდივანი
მაკა გველესიანი